

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2021 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ამონაგები.....	17
6. სხვა შემოსავალი	17
7. პერსონალის ხარჯი და ჰონორარი ლექტორებისთვის	18
8. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	18
9. წმინდა ფინანსური ხარჯი.....	18
10. ძირითადი საშუალებები	19
11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
14. მიღებული სესხები	20
15. სხვა ვალდებულებები.....	20
16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	21
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	22

მმართველობის ანგარიშგება.....	29
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

უნივერსიტეტს არ გაუკეთებია საკრედიტო რისკის ანალიზი. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად იყო ასახული 1,730,472 ლარისა და 1,650,328 ლარის ღირებულებებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

როგორც ეს განმარტებულია მე-12 შენიშვნაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნივერსიტეტს აღიარებული აქვს მოთხოვნა 1,143,210 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნულ მოთხოვნის კომერციულ შინაარსზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაწილის გაუფასურებაზე და ნაწილის კომერციულ შინაარსზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს უნივერსიტეტის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს რწმუნებას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარიგებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ უნივერსიტეტის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს უნივერსიტეტის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს უნივერსიტეტი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას რომ, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

9 ნოემბერი, 2022

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	24,868,984	20,524,034
სხვა შემოსავალი	6	462,596	362,007
საერთო შემოსავალი		25,331,580	20,886,041
პერსონალის ხარჯი და პონორარი ლექტორებისთვის	7	(11,893,300)	(10,049,039)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,692,519)	(1,592,567)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,342,748)	(3,084,682)
წმინდა ფინანსური ხარჯი	9	(396,141)	(695,768)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(119,797)	160,723
სულ მთლიანი შემოსავალი		6,887,075	5,624,708

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 9 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

კახა შენგელია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	24,868,984	20,524,034
სხვა შემოსავალი	6	462,596	362,007
საერთო შემოსავალი		25,331,580	20,886,041
პერსონალის ხარჯი და ჰონორარი ლექტორებისთვის	7	(11,893,300)	(10,049,039)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,692,519)	(1,592,567)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,342,748)	(3,084,682)
წმინდა ფინანსური ხარჯი	9	(396,141)	(695,768)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(119,797)	160,723
სულ მთლიანი შემოსავალი		6,887,075	5,624,708

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 9 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



კახა შენგელია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	23,091,660	20,429,200
აქტივების გამოყენების უფლება	11	24,665	61,662
არამატერიალური აქტივები		296,479	142,621
ბანკებისგან მისაღები თანხები		1,146,112	1,212,342
		24,558,916	21,845,825
მიმდინარე აქტივები			
სხვა აქტივები		171,111	265,695
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,773,823	3,440,371
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	3,553,668	3,247,311
		8,498,602	6,953,377
სულ აქტივები		33,057,518	28,799,202
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		22,825,516	15,938,441
		22,827,516	15,940,441
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	2,200,000	4,400,000
საიჯარო ვალდებულებები	11	-	64,292
		2,200,000	4,464,292
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	15	1,376,024	2,053,844
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5	4,186,599	4,079,211
მიღებული სესხები	14	2,200,000	2,200,000
საიჯარო ვალდებულებები	11	28,137	4,042
საგადასახადო ვალდებულება		239,241	57,372
		8,030,002	8,394,469
სულ ვალდებულებები		10,230,002	12,858,761
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,057,518	28,799,202

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2020	2,000	10,313,733	10,315,733
სულ მთლიანი შემოსავალი	-	5,624,708	5,624,708
31 დეკემბერი 2020	2,000	15,938,441	15,940,441
სულ მთლიანი შემოსავალი	-	6,887,075	6,887,075
31 დეკემბერი 2021	2,000	22,825,516	22,827,516

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		6,887,075	5,624,708
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი	9	566,335	829,493
საპროცენტო შემოსავალი	9	(170,194)	(133,725)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	1,692,519	1,592,567
საკუროს სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		119,797	(160,723)
საექვო ვალების ანარიცხის წმინდა ცვლილება	8	(256,953)	147,535
		8,838,579	7,899,855
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(1,020,760)	(1,072,079)
სხვა აქტივები		94,584	(129,746)
სხვა ვალდებულებები		(704,096)	(129,488)
სახელშეკრულებო ვალდებულებები		107,389	2,577,215
საგადასახადო ვალდებულება		181,868	(38,698)
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		7,497,564	9,107,059
გადახდილი პროცენტი		(560,853)	(819,968)
მიღებული პროცენტი		170,194	133,725
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		7,106,905	8,420,816
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(4,254,663)	(3,245,210)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(217,176)	(92,376)
ბანკში განთავსებული დეპოზიტი		-	(1,212,342)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,471,839)	(4,549,928)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება		-	6,600,000
სესხის დაფარვა		(2,200,000)	(8,800,000)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(45,679)	(45,000)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(2,245,679)	(2,245,000)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		389,387	1,625,888
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის		3,247,311	1,477,762
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(83,030)	143,661
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის		3,553,668	3,247,311

10-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2004 წლის 24 ოქტომბერს. უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით: 205050567.

უნივერსიტეტი არის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო კერძო დაწესებულება, რომელიც მდებარეობს თბილისში. უნივერსიტეტი ეწევა საგანმანათლებლო მომსახურებას, ძირითადად, უმაღლესი განათლების ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი შედგება: ბიზნესის, მედიის, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ტურიზმის, ეკონომიკის, სახელმწიფო მართვის, ტექნოლოგიების, მედიცინის და ჯანდაცვის მენეჯმენტის და განათლების სკოლებისგან. უნივერსიტეტს აქვს სამართლებრივი უფლება მიანიჭოს სტანდარტული და დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხები. ასევე, ხელმისაწვდომია სხვადასხვა სერტიფიცირების პროგრამები, რომელიც მოიცავს მოკლე სასწავლო კურსებს.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია უნივერსიტეტის მფლობელების შესახებ მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ხატია გოგლიძე	82%	82%
თორნიკე შენგელია	10.5%	10.5%
ნუგზარ სხირტლაძე	2.5%	2.5%
ბორის ლეყავა	2.5%	2.5%
მანანა თურქია	2.5%	2.5%
	100%	100%

უნივერსიტეტის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

უნივერსიტეტი აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უნივერსიტეტის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უნივერსიტეტის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ უნივერსიტეტი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ უნივერსიტეტი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას უნივერსიტეტის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია უნივერსიტეტისთვის.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს უნივერსიტეტის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ბანკმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა უნივერსიტეტს უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, უნივერსიტეტი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა უნივერსიტეტის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალი ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

უნივერსიტეტს არ აქვს მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

უნივერსიტეტი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება იმ პერიოდებს რა დროის განმავლობაშიც მოსალოდნელია ამ აქტივებიდან შემოსავლების მიღება, რომელთა გადახედვაც ხდება პერიოდულად. მომსახურების ვადის შეფასებაში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში და კონკრეტული პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოხვედრილი ხარჯების ოდენობაში. ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში აღირიცხება პერსპექტიულად.

იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც უნივერსიტეტი წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის უნივერსიტეტი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც უნივერსიტეტი წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. უნივერსიტეტმა გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც უნივერსიტეტი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-11 შენიშვნაში.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, უნივერსიტეტი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს უნივერსიტეტის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება უნივერსიტეტის ფინანსური მხარისთვის

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ. ამ ოპერაციებით, უნივერსიტეტი ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ზეგავლენის ქვეშ ექვევას:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე უნივერსიტეტი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს უნივერსიტეტისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,566,594	2,413,520
ბანკებისგან მისაღები თანხები	1,146,112	1,212,342
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,553,668	3,247,311
	8,266,374	6,873,173

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. უნივერსიტეტს კონტრაგენტის საკრედიტო რისკი დაჰყავს მინიმუმამდე სტუდენტებისგან წინასწარი გადახდის პოლიტიკით. ასევე, უნივერსიტეტი იღებს სახელმწიფო გრანტს რომელიც გამოიწვევს სტუდენტთა მხარდასაჭერად.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა უნივერსიტეტის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ უნივერსიტეტი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს უნივერსიტეტის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება საკუთარი კაპიტალის და ადგილობრივი ბანკებიდან ფინანსირების მეშვეობით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,566,594	-	3,566,594
ბანკებისგან მისაღები თანხები	1,146,112	-	1,146,112
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,553,668	-	3,553,668
სულ ფინანსური აქტივები	8,266,374	-	8,266,374
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	1,115,491	-	1,115,491
საიჯარო ვალდებულებები	30,000	-	30,000
მიღებული სესხები	2,529,292	2,324,044	4,853,336
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,674,738	2,324,044	5,998,827
ლიკვიდურობის დეფიციტი	4,591,591	(2,324,044)	2,267,547
დაგროვილი ლიკვიდურობის დეფიციტი	4,591,591	2,267,547	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ზეგავლენა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,413,520	-	2,413,520
ბანკებისგან მისაღები თანხები	-	1,212,342	1,212,342
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,247,311	-	3,247,311
სულ ფინანსური აქტივები	5,660,831	1,212,342	6,873,173
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	1,899,379	-	1,899,379
საიჯარო ვალდებულებები	45,000	30,000	75,000
მიღებული სესხები	2,754,792	4,853,336	7,608,127
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,699,171	4,883,336	9,582,506
ლიკვიდურობის დეფიციტი	961,660	(3,670,994)	(2,709,333)
დაგროვილი ლიკვიდურობის დეფიციტი	961,660	(2,709,333)	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას უნივერსიტეტის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. უნივერსიტეტი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა უნივერსიტეტზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,566,594	-	-	3,566,594
ბანკებისგან მისაღები თანხები	-	1,146,112	-	1,146,112
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,008,584	493,667	51,417	3,553,668
სულ ფინანსური აქტივები	6,575,178	1,639,779	51,417	8,266,374
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	796,670	5,446	313,375	1,115,491
საიჯარო ვალდებულებები	28,137	-	-	28,137
მიღებული სესხები	4,400,000	-	-	4,400,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,224,807	5,446	313,375	5,543,628
ღია საბალანსო პოზიცია	1,356,480	1,634,333	(261,958)	2,728,855

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა უნივერსიტეტზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,413,520	-	-	2,413,520
ბანკებისგან მისაღები თანხები	-	1,212,342	-	1,212,342
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,901,781	35,786	309,744	3,247,311
სულ ფინანსური აქტივები	5,315,301	1,248,128	309,744	6,873,173
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	1,768,403	12,752	118,224	1,899,379
საიჯარო ვალდებულებები	68,334	-	-	68,334
მიღებული სესხები	6,600,000	-	-	6,600,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,436,737	12,752	118,224	8,567,713
ღია საბალანსო პოზიცია	(3,121,436)	1,235,376	191,520	(1,694,540)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს უნივერსიტეტის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ზეგავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა	
	+20%	-20%	+20%	-20%
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	326,867	(326,867)	(52,392)	52,392
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	247,075	(247,075)	38,304	(38,304)

კაპიტალის მართვა

უნივერსიტეტის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

უნივერსიტეტი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. უნივერსიტეტი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, უნივერსიტეტმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. ამონაგები

	2021	2020
სწავლის აკადემიური საფასური	24,475,173	20,024,983
ორმაგი პროგრამების საფასური	338,613	323,469
ტრენინგები	55,199	175,582
	24,868,984	20,524,034

2021 და 2020 წლების მონაცემებში წარმოდგენილია 8 სასწავლო თვის შესაბამისი ამონაგები.

როგორც 21-ე შენიშვნაში არის განმარტებული, უნივერსიტეტი შემოსავლებს იღებს გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან. უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურება როდესაც აჭარბებს ანაზღაურებას, აღიარდება სახელშეკრულებო აქტივი, ხოლო როცა ანაზღაურება აჭარბებს გაწეულ მომსახურებას - სახელშეკრულებო ვალდებულება. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უნივერსიტეტს შესაბამისად აქვს აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულება 4,186,599 ლარისა და 4,079,211 ლარის ოდენობით.

აკადემიური გადასახადი ფაკულტეტების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ბაკალავრი	მაგისტრატურა და სხვა	სულ
ბიზნესის, სამართლისა და ეკონომიკის სკოლები	9,088,796	1,541,759	10,630,555
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა	2,952,978	259,978	3,212,956
ტექნოლოგიების სკოლა	2,434,503	79,899	2,514,402
სახელმწიფო მართვის სკოლა	1,808,822	211,913	2,020,735
მედიცინის სკოლა	1,836,822	151,672	1,988,494
სხვა სკოლები	3,862,289	245,742	4,108,031
	21,984,210	2,490,963	24,475,173

აკადემიური გადასახადი ფაკულტეტების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ბაკალავრი	მაგისტრატურა და სხვა	სულ
ბიზნესის, სამართლისა და ეკონომიკის სკოლები	9,384,973	1,126,678	10,511,651
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა	1,911,164	78,687	1,989,851
ტექნოლოგიების სკოლა	904,454	141,287	1,045,741
სახელმწიფო მართვის სკოლა	1,407,967	149,771	1,557,738
სხვა სკოლები	4,257,349	662,653	4,920,002
	17,865,907	2,159,076	20,024,983

6. სხვა შემოსავალი

	2021	2020
სტუდენტებისგან მიღებული სხვა შემოსავალი	229,929	139,434
შემოსავალი წიგნებისა და სხვა სასწავლო მასალების რეალიზაციიდან	101,320	110,075
სხვა	131,347	112,498
	462,596	362,007

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

7. პერსონალის ხარჯი და ჰონორარი ლექტორებისთვის

	2021	2020
ჰონორარი ლექტორებისთვის	(3,160,598)	(2,887,113)
ადმინისტრაციის პერსონალის ხარჯი:		
ხელფასები	(4,949,207)	(4,474,381)
სხვა სარგებელი	(3,783,495)	(2,687,545)
	(8,732,702)	(7,161,926)
სულ პერსონალის ხარჯი და ჰონორარი ლექტორებისთვის	(11,893,300)	(10,049,039)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	(1,325,105)	(782,437)
საკონსულტაციო ხარჯი	(959,316)	(574,691)
სწავლის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები	(717,659)	(509,044)
კომუნალური ხარჯები	(455,910)	(232,200)
მარკეტინგის ხარჯი	(256,608)	(172,445)
დაცვის ხარჯები	(240,438)	(209,047)
საგადასახადო ხარჯები	(198,445)	(187,721)
შეკეთების და შენახვის ხარჯები	(151,454)	(110,777)
მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	256,953	(147,535)
სხვა	(294,766)	(158,785)
	(4,342,748)	(3,084,682)

9. წმინდა ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი:	2021	2020
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული სარგებელი	167,890	125,695
სხვა	2,304	8,030
	170,194	133,725
ფინანსური ხარჯი:		
ადგილობრივი ბანკიდან მიღებული სესხები	(560,853)	(819,968)
საიჯარო ვალდებულებები	(5,482)	(9,525)
	(566,335)	(829,493)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	(396,141)	(695,768)

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
1 იანვარი 2020	16,771,891	180,709	2,683,943	1,948,053	509,859	22,094,455
შემოსვლა	2,210,790	466,046	426,928	54,387	87,059	3,245,210
31 დეკემბერი 2020	18,982,681	646,755	3,110,871	2,002,440	596,918	25,339,665
შემოსვლა	-	3,583,430	172,946	468,313	29,974	4,254,663
31 დეკემბერი 2021	18,982,681	4,230,185	3,283,817	2,470,753	626,892	29,594,328
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2020	(1,636,863)	-	(825,549)	(700,259)	(210,087)	(3,372,758)
ცვეთა	(609,734)	-	(471,200)	(365,353)	(91,420)	(1,537,707)
31 დეკემბერი 2020	(2,246,597)	-	(1,296,749)	(1,065,612)	(301,507)	(4,910,465)
ცვეთა	(609,733)	-	(501,295)	(378,862)	(102,313)	(1,592,204)
31 დეკემბერი 2021	(2,856,331)	-	(1,798,044)	(1,444,474)	(403,820)	(6,502,669)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	16,736,084	646,755	1,814,122	936,828	295,411	20,429,200
31 დეკემბერი 2021	16,126,350	4,230,185	1,485,773	1,026,279	223,072	23,091,660

მიწა და შენობა-ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით ადგილობრივი ბანკისგან მიღებული სესხისთვის.

2019 წლის 21 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმდა ხელშეკრულება არანაკლებ 5 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებაზე. აღნიშნული ინვესტიციის ფარგლებში უნივერსიტეტმა 1,600,000 ლარად შეიძინა 11,851 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი (ბაგრატიონის ქ. 117, ქ. ბათუმი), რომელზეც უნდა განთავსდეს საგანმანათლებლო სივრცე (საუნივერსიტეტო კამპუსი, სპორტული მოედნები, საშუალო სკოლა და სხვა). საინვესტიციო ვალდებულება უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებისა.

11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

უნივერსიტეტს იჯარით აღებული აქვს ბათუმის კამპუსის საუნივერსიტეტო ფართი. საიჯარო გადახდები ხდება ქართულ ლარში. ზღვრული საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა შესადარისი სექტორის ბაზრის დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე. იჯარის ვადა არის 44 თვე და ზღვრული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.84%-ს.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	61,662	98,659
ცვეთა	(36,997)	(36,997)
ნაშთი წლის ბოლოს	24,665	61,662

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	68,334	103,809
საპროცენტო ხარჯი	5,482	9,525
საიჯარო გადასახადი	(45,679)	(45,000)
ნაშთი წლის ბოლოს	28,137	68,334

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები		
აკადემიური გადასახადის მოთხოვნები	1,730,472	1,650,328
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	1,143,210	-
სახელმწიფო გრანტები აკადემიური გადასახადისთვის	620,400	633,225
სხვა მოთხოვნები	155,409	192,353
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი სხვა მოთხოვნებისთვის	(82,897)	(62,386)
	3,566,594	2,413,520
არა-ფინანსური მოთხოვნები		
ორმაგ პროგრამაში მონაწილეობისთვის გადახდილი ავანსები	-	26,184
მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები	800,253	936,955
სხვა ავანსები	520,167	454,367
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი სამშენებლო და სხვა ავანსებისთვის	(113,191)	(390,655)
	1,207,229	1,026,851
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,773,823	3,440,371

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნული ვალუტაში	2,998,789	2,897,691
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოური ვალუტაში	545,085	345,530
ნაღდი ფული სალაროში	9,794	4,090
	3,553,668	3,247,311

ფული და ფულის ეკვივალენტების განაწილება სავალუტო რისკის მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

14. მიღებული სესხები

	%	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
			მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი
სს თი ბი სი ბანკი	10.25%	24/09/23	2,200,000	2,200,000	2,200,000	4,400,000
			2,200,000	2,200,000	2,200,000	4,400,000

15. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სწავლის პროცესთან დაკავშირებული ვალდებულებები	414,075	800,000
მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	502,077
სხვა გადასახადები	701,416	597,302
	1,115,491	1,899,379
არა-ფინანსური ვალდებულებები		
ორმაგ პროგრამასთან დაკავშირებული ავანსები	120,184	-
სხვა ავანსები	140,349	154,465
	260,533	154,465
სულ ვალდებულებები	1,376,024	2,053,844

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უნივერსიტეტს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა, რომელშიც წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ უნივერსიტეტის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, უნივერსიტეტს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საინვესტიციო ვალდებულება - იხილეთ მე-10 შენიშვნა.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ უნივერსიტეტთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს უნივერსიტეტში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს უნივერსიტეტზე;

(ბ) უნივერსიტეტის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. უნივერსიტეტსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უმაღლესი ხელმძღვანელობის ნაშთები და ტრანზაქციები მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე

პერსონალის ხარჯები და ჰონორარი ლექტორებისათვის
სხვა საოპერაციო ხარჯები

2021

4,109,989

781,501

2020

3,078,188

669,835

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის ომი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა.

აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ კომპანიაზეც, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალ ფინანსურ რესურსზე წვდომაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე.

უნივერსიტეტს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

უნივერსიტეტის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიიდან ერთ-ერთით: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ბიზნეს მოდელი და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები მიაკუთვნა - „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით“ კატეგორიას.

ამორტიზირებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საკონლოსა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია ფასს 9-ის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. უნივერსიტეტი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. უნივერსიტეტი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უნივერსიტეტი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- უნივერსიტეტი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

უნივერსიტეტის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებად“. უნივერსიტეტმა ყველა ფინანსური ვალდებულება წარადგინა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

უნივერსიტეტი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

ორგანიზაცია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ორგანიზაცია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

უნივერსიტეტს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ უნივერსიტეტი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაწეულ იქნა.

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ უნივერსიტეტს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს უნივერსიტეტმა აქტივის რეალიზაციიდან, მინუს რეალიზაციის საორიენტაციო დანახარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივის ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების” შესაბამისად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნაწილს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

მიწა და შენობა-ნაგებობები

10-50

დაუმთავრებელი მშენებლობა

-

კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა

2 – 8

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3 – 10

სხვა

3 – 8

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შეფასებითი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით თუ რომელიმე ძირითადი საშუალების ერთეულს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ესეთი ერთეულები აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებების განსაკუთრებული ერთეული (მთავარი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგებად ან ზარალად ნეტო საფუძველზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მიმოხილვა, რომ არ იყოს ზედმეტი ღირებულებით აღრიცხული ვიდრე მათი ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი აღიარდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და ჩაითვლება საოპერაციო ხარჯებში.

გაუფასურების ხარჯის აღიარების შემდეგ კორექტირდება ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი იმგვარად, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, გამოკლებული ნარჩენი ღირებულება (არსებობის შემთხვევაში) განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება როდესაც წარმოიქმნება მათი გადახდის ვალდებულება. გადასახადების კალკულაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

უნივერსიტეტი აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გაწევისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც მოელის ამ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. უნივერსიტეტი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

უნივერსიტეტი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც გაიწევა შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებული მომსახურება.

შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან

უნივერსიტეტი არის აკრედიტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო კერძო დაწესებულება, რომელიც მდებარეობს თბილისში. უნივერსიტეტი ეწევა საგანმანათლებლო მომსახურებას, ძირითადად, უმაღლესი განათლების ეტაპზე მყოფი სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი იღებს შემოსავალს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებიდან: ბიზნესი, სამართალი, მედია, ტექნოლოგიები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერება, სახელმწიფო მართვა, ტურიზმი და ეკონომიკა, ჯანდაცვა და სხვა.

შემოსავალი გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარდება იმ მოცულობით, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტს აქვს უფლება, რომ მომხმარებელს წარუდგინოს ინვოისი. ეს დამოკიდებულია მომხმარებლისთვის გაწეულ ფაქტობრივად შესრულებულ მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების ან სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის შედეგად. უნივერსიტეტის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

გაწეულ მომსახურებაზე ფასის გადანაწილება ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში და მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

უნივერსიტეტი როგორც მოიჯარე

უნივერსიტეტი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. უნივერსიტეტმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რეგულაციური 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას უნივერსიტეტმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უნივერსიტეტმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, უნივერსიტეტი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

პერსონალის ხარჯი და ლექტორების ჰონორარი

ხელფასების, სხვა სარგებლის, ჰონორარისა და არა-მონეტარული სარგებლის დარიცხვა ხდება იმ წელს, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში მომუშავეთა და ლექტორების მიერ გაწეულ შესაბამის სერვისებთან.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობითი ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც უნივერსიტეტი ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის უნივერსიტეტის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია უნივერსიტეტის ფუნქციონალურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების უნივერსიტეტის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა)

2022 წ.

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ.....	32
ორგანიზაციის სტრუქტურა.....	33
უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები	33
უნივერსიტეტის სტრატეგია	34
უნივერსიტეტის ფილიალები.....	34
2021 წლის მნიშვნელოვანი ფაქტები:	34
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	37
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	39
რისკები და გაურკვევლობების დაზღვევის მექანიზმი.....	39
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:	40

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ, კერძო, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს: საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამებს, მოკლე სასწავლო კურსებს, საზაფხულო სკოლებს და სხვ.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“-ს ისტორია იწყება 1998 წლიდან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაფინანსებით, ევრაზიის ფონდისა (Eurasia Foundation) და აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს (USIA) გრანტის საშუალებით ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კავკასიის ბიზნესის სკოლა (CSB) და დაინერგა პირველი დასავლური ბიზნეს-განათლება საქართველოში. 2004 წელს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაზაზე მოხდა კერძო უმაღლესი დაწესებულების შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“-ს ჩამოყალიბება.

2021 წლისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს 10 სკოლა, ჩამონათვალი მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ბიზნესის სკოლა	CSB
სამართლის სკოლა	CSL
სახელმწიფო მართვის სკოლა	CSG
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა	CSH
მედიის სკოლა	CSM
ეკონომიკის სკოლა	CSE
მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა	CMS
ტურიზმის სკოლა	CTS
ტექნოლოგიების სკოლა	CST
განათლების სკოლა	CES

კომენტარი: 2022 წელს დაემატა მეთერთმეტე, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა.

უნივერსიტეტის მიერ წარმატებით ხორციელდება ყველა საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ჯამში 46 საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია გაცვლითი და ორმაგი პროგრამების განხორციელება პარტნიორ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

უნივერსიტეტის ძირითადი შემოსავალი ფორმირდება სწავლების გადასახადიდან, თუმცა არსებობს შემოსავლების დამატებითი წყაროები, როგორც არის სასერტიფიკატო კურსები, საზაფხულო-საგანმანათლებლო პროექტები, ადგილობრივი თუ საერთაშორისო საგრანტო პროექტები და სხვა.

უნივერსიტეტის დევიზია „Studium Pretium Libertates“ – „ცოდნა თავისუფლების საწინდარია“.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ორგანიზაციის სტრუქტურა

2004 წლის 21 ოქტომბერს კომპანია დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში, საიდენტიფიკაციო კოდით - 205050567.

უნივერსიტეტის დირექტორი - კახა შენგელია.

უნივერსიტეტს აქვს მრგვალი ბეჭედი, საკუთარი დროშა, ჰიმნი და სხვა სიმბოლოები, ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. ვებ გვერდი: www.cu.edu.ge. საკონტაქტო ნომერი - (+995 32) 2 37 77 77.

კავკასიის უნივერსიტეტის კუთვნილი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, პ. სააკაძის #1-ში. უნივერსიტეტის კამპუსი, თავისი ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე აღჭურვილობით, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სასწავლო დაწესებულებაა. ისტორიული შენობა აშენებულია 1909 წელს, მისი ფართი შეადგენს 11,179.11 კვ.მ-ს, მიწის ფართი 17,092 კვ.მ.. უნივერსიტეტს ასევე აქვს ფილიალი ქ. ბათუმში.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები, სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

- **პარტნიორთა კრება** - უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო;
- **მმართველი საბჭო** - მმართველთა საბჭო შედგება პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, სკოლების დეკანების და დეპარტამენტის დირექტორებისგან. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შეფასების, განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის და საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, იმართება მმართველი საბჭოს ყოველკვირეული სხდომები, რომლის შემდეგ ხორციელდება მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში გავრცელება და მათი შესრულების მონიტორინგი.
- **პრეზიდენტი** - უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს უნივერსიტეტში.

შიდა ნორმატიული დოკუმენტებით განისაზღვრება მართვის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი. საუნივერსიტეტო საკითხებზე გადაწყვეტილება აისახება მმართველი საბჭოს დადგენილებაში ან უნივერსიტეტის პრეზიდენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში - ბრძანებაში.

უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც განსაზღვრული აქვს კონკრეტული მისია, მიზნები და ამოცანები.

ხედვა: კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა სტუდენტს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

მისია: კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებით, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აკმაყოფილებენ საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

ღირებულებები: კავკასიის უნივერსიტეტი და მისი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

- ნოვატორული სულისკვეთება;
- მრავალფეროვნება;
- აკადემიური თავისუფლება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე;
- ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა

მუდმივი თვითშეფასებისა და განვითარების კვალობაზე კავკასიის უნივერსიტეტი პერიოდულად ახდენს მისი მისიის გადახედვას, რათა უზრუნველყოს კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსა და მზარდ მოთხოვნებთან.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

უნივერსიტეტის სტრატეგია

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად, ასევე პერიოდული თვითშეფასებების შედეგებზე დაყრდნობით, კავკასიის უნივერსიტეტი ახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებას, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კავკასიის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, სადაც გაწერილია სტრატეგიული ამოცანები საუნივერსიტეტო და თითოეული სკოლის დონეზე. სტრატეგიული განვითარების გეგმა ემყარება SWOT ანალიზს. მეთოდოლოგიად შერჩეულია სტრატეგიული რუკისა და დაბალანსებული შედეგების ცხრილის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელზე ორიენტირებულობას, შიდა პროცესების ოპტიმიზაციასა და თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას. თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის გაწერილია შესაბამისი ინდიკატორები და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. სამიზნე ნიშნულები გაზომვადია და ისინი დადგინდა უკანასკნელი წლების ტენდენციების ანალიზის შედეგად. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს უნივერსიტეტის ყველა ძირითად სტრუქტურულ ერთეულს. თითოეული სკოლის დონეზე გაწერილია 3 წლის ვადაში საჭირო აქტივობები. სტრატეგიული დაგეგმარება ეფუძნება თანამონაწილეობრივ პროცესს, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს და აერთიანებს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების (სკოლების) მისიას, ღირებულებებს, დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, მათი განხორციელების მიზნით დასახულ ამოცანებს და ინდიკატორებს.

კავკასიის უნივერსიტეტში განისაზღვრა სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება:

1. სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია და რელევანტობის გაზრდა;
2. სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
3. ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტის ფილიალები

კავკასიის უნივერსიტეტის საკუთრებაშია ქ. ბათუმში, ბაგრატიონის 117-ში, 11,851 კვ.მ. მიწის ფართი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის ახალი კამპუსის და საშუალო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. პირველი მიღება ახალ კამპუსში დაგეგმილია 2024-2025 აკადემიურ წელს.

2020 წლიდან, კავკასიის უნივერსიტეტის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ტ.გრანელის ქუჩა #17-ის მიმდებარედ 3,398 კვ.მ-ის მიწის ფართი, სადაც იგეგმება სასწავლო კამპუსის და ჰოსპიტალის მშენებლობა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს წინასანებართვო სამუშაოები.

2021 წლის მნიშვნელოვანი ფაქტები:

- **საგანმანათლებლო პროგრამები:**
 - **CSB-ის ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაცია** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს 4 წლიანი აკრედიტაცია მიანიჭა.
 - **ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას 4 წლიანი აკრედიტაცია მიანიჭა.
 - **დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა** - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას 4 წლიანი აკრედიტაცია მიანიჭა.

- CST-ის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სრული აკრედიტაცია მიანიჭა 4 წლის ვადით.
- განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები როგორც არის:
 - 15 მარტს, კავკასიის უნივერსიტეტში წიგნის მაღაზია - ლიბრარეა გაიხსნა, სადაც სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეიძინონ წიგნები და კავკასიის უნივერსიტეტის ბრენდირებული ნივთები. სივრცე განკუთვნილია სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებისთვის, როგორცაა საჯარო ლექცია, წიგნის პრეზენტაცია, გამოფენა-გაყიდვა.
 - ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას ნიუ ჯერსის უნივერსიტეტთან (New Jersey City University, USA) - რომლის ფარგლებშიც, კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება დაიწყება. ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ერთი სემესტრი ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტში გაატარონ და მიიღონ როგორც თეორიული, ისე საერთაშორისო დონის პრაქტიკული გამოცდილება ამერიკის ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სიახლეა ის ფაქტიც, რომ პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია, სწავლის დასრულებისას, კურსდამთავრებულს ორი დიპლომი გადაეცემა, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის.
 - კავკასიის უნივერსიტეტსა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტს FDU (აშშ) შორის აკადემიური თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. - შეთანხმების ფარგლებში მხარეები ერთობლივ საბაკალავრო პროგრამას შეიმუშავენ -მასპინძლობის მენეჯმენტში (Hospitality Management). პროგრამის კურსდამთავრებულს ორმაგი ხარისხი მიენიჭება და ორივე უნივერსიტეტის დიპლომი გადაეცემა.
 - კავკასიის უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის ერაზმუს + 2021 წლის კონკურსში - ევროკავშირის კვლევების წამყვანი ცენტრები (Centers of Excellence). კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის მიერ შემუშავებული პროექტის სახელწოდებაა - ევროკავშირის კვლევების წამყვანი ცენტრი ევროკავშირის კანონმდებლობის ტრანსპოზიციისთვის (Jean Monnet Center of Excellence for EU Policy Transposition, EUPOLTRANS). აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში დაფინანსდა ევროკავშირის კვლევების წამყვანი ცენტრი (Center of Excellence). ეს ფაქტი უმნიშვნელოვანესია საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისა და ამ პროცესში აკადემიური სექტორის ჩართულობის გააქტიურებისთვის. პროექტს ექნება სასწავლო, კვლევითი და პოლიტიკის დებატებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტი. პროექტი განხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის, სამართლის სკოლისა და ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. პროექტის სასწავლო და კვლევითი პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება ევროკავშირის საკითხებზე მომუშავე ყველა ფაკულტეტისთვის.
 - კავკასიის უნივერსიტეტსა და ქალაქ ბათუმის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა - თანამშრომლობა გულისხმობს Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის - „რეგიონალური უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ ფარგლებში ერთობლივი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, მათ შორის, სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობას. თანამშრომლობა ასევე ითვალისწინებს ორივე მხარისთვის საინტერესო დარგებში კონსულტაციის, საექსპერტო მომსახურების გაწევასა და შესაძლებლობების ფარგლებში, სტუდენტებისთვის სტაჟირების ან დასაქმების ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- ედუნივერსალის ყოველწლიური რეიტინგის მიხედვით კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები, MBA - ბიზნესის ადმინისტრირება და MSc in Management - MSc მენეჯმენტში, საუკეთესოდ დასახელდა. გამოკითხვაში 154 ქვეყნის 1800-ზე მეტი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა.
- კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრის და „მარანი ზეცურიანი“-ს მიერ შეიქმნა **სომელიეს და მემარნის ერთობლივი ტრენინგ პროგრამები**, რომლებიც წარმატებით ხორციელდება ქალაქ თბილისსა და რეგიონებში.
- ედუნივერსალის ყოველწლიური რეიტინგის მიხედვით კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის სამაგისტრო პროგრამა, **Strategic Communication (PR) - სტრატეგიული კომუნიკაციის (პიარი) საუკეთესოდ დასახელდა**. გამოკითხვაში 154 ქვეყნის 1800-ზე მეტი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა.
- კავკასიის უნივერსიტეტსა და ევროპის ყველაზე მასშტაბური კიბერუსაფრთხოების ღონისძიების „DefCamp“ ორგანიზატორს - BIT SENTINEL-ს შორის გაფორმდა **მემორანდუმი**, რის საფუძველზეც კავკასიის უნივერსიტეტმა და მისმა პარტნიორმა სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაციამ მიიღო ექსკლუზიური ერთწლიანი წარმომადგენლობა კავკასიის რეგიონში.
- კავკასიის უნივერსიტეტმა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) **ინდივიდუალური სრული წევრის სტატუსი მოიპოვა**. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია, რომელიც ყველაზე მასშტაბური საუნივერსიტეტო გაერთიანების სტატუსით წლებია სარგებლობს, ამავდროულად უზრუნველყოფს ევროპის უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის შესწავლას ხარისხის უზრუნველყოფის, ინტერნაციონალიზაციის, მმართველობისა და დაფინანსების კუთხით, ასევე ახორციელებს ტრანსნაციონალური და ინსტიტუციური განვითარების პროექტებს.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

უნივერსიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ბოლო 2 წლის განმავლობაში იხ. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

1. ფინანსური მაჩვენებლები:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	23,091,660	20,429,200
აქტივების გამოყენების უფლება	24,665	61,662
არამატერიალური აქტივები	296,479	142,621
ბანკებისგან მისაღები თანხები	1,146,112	1,212,342
	24,558,916	21,845,825
მიმდინარე აქტივები		
სხვა აქტივები	171,111	265,695
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,773,823	3,440,371
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,553,668	3,247,311
	8,498,602	6,953,377
სულ აქტივები	33,057,518	28,799,202
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	22,825,516	15,938,441
სულ კაპიტალი	22,827,516	15,940,441
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,200,000	4,400,000
საიჯარო ვალდებულებები	-	64,292
	2,200,000	4,464,292
მიმდინარე ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები	1,376,024	2,053,844
სახელმწიფო ვალდებულებები	4,186,600	4,079,211
მიღებული სესხები	2,200,000	2,200,000
საიჯარო ვალდებულებები	28,137	4,042
საგადასახადო ვალდებულება	239,241	57,372
	8,030,002	8,394,469
სულ ვალდებულებები	10,230,002	12,858,761
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	33,057,518	28,799,202

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	2021	2020
ამონაგები	24,868,984	20,524,034
სხვა შემოსავალი	462,596	362,007
საერთო შემოსავალი	25,331,580	20,886,041
პერსონალის ხარჯი და ჰონორარი ლექტორებისთვის	(11,893,300)	(10,049,039)
ცვთის ხარჯი	(1,692,519)	(1,592,567)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,342,748)	(3,084,682)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(396,141)	(695,768)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(119,796)	160,723
მოგება დაბეგვრამდე	6,887,075	5,624,708
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
სულ მთლიანი შემოსავალი	6,887,075	5,624,708

კავკასიის უნივერსიტეტი არის ფინანსურად მდგრადი, მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია. აღნიშნულს ცხადყოფს მოცემული ფინანსური მაჩვენებლებიც.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილია აბიტურიენტთა ინტერესი კავკასიის უნივერსიტეტის მიმართ. ფასების ეტაპობრივი ზრდის მიუხედავად საბაკალავრო საფეხურზე ეროვნული გამოცდებით ახალი მიღების მზარდი დინამიკა მოცემულია ქვემოთ:

- 2017-2018 აკად. წელს ჩაირიცხა 961 აბიტურიენტი;
- 2018-2019 აკად. წელს ჩაირიცხა 1,006 აბიტურიენტი;
- 2019-2020 აკად. წელს ჩაირიცხა 1,208 აბიტურიენტი;
- 2020-2021 აკად. წელს ჩაირიცხა 1,306 აბიტურიენტი;
- 2021-2022 აკად. წელს ჩაირიცხა 1,239 აბიტურიენტი;
- 2022-2023 აკად. წელს ჩაირიცხა 1,600 აბიტურიენტი.

ამ მონაცემებში არ არის შესული ეროვნული გამოცდების გარეშე უცხო ქვეყნის კვოტით ჩარიცხული სტუდენტები.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი“, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.

კავკასიის უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი, საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა-მხარდაჭერას. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს დაფინანსება სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობისთვის საერთაშორისო და ადგილობრივი დონეზე.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ხორციელდება შიდა სასკოლო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები, საჯარო ლექციები, ვორკშოპები, ტრენინგები, კონკურსები, დებატები, ინტელექტუალური თამაშები, სოციალური პროექტები და სხვადასხვა აქტივობები, რაც ემსახურება აბიტურიენტების, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებას.

უნივერსიტეტს აქვს ტრენინგ ცენტრი, როგორც მისი სტრუქტურული ერთეული. ტრენინგ ცენტრი გარდა გარე მსენელებისა ახდენს ასევე ადმინისტრაციული თანამშრომლების საჭიროების მიხედვით გადამზადებას. აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის მოქმედებს შეღავათიანი პირობები. უსდ-ს ტრენინგ ცენტრის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების საცალო/კორპორატიული ტრენინგები.

რისკები და გაურკვევლობების დაზღვევის მექანიზმი

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

რისკების და გაურკვევლობების დაზღვევის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ბიზნეს პროცესების/რისკ ფაქტორების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს იმ პროცესების/პრევენციების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფენ მოულოდნელი გარემოებების შეძლებისდაგვარად არიდებას და ასევე მათი დადგომის შემთხვევაში მინიმალურ უარყოფით ზეგავლენას უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

გეგმა მოიცავს უნივერსიტეტში მიმდინარე ბიზნეს პროცესების ყველა სფეროს, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებების ხელმისაწვდომობას, პროგრამულ სისტემებს და ადამიანურ რესურსებს, თითოეული მიმართულების ბიზნეს პროცესზე პასუხისმგებელ პირებს.

რისკები დაყოფილია გარე და შიდა ტიპებად: გარე ტიპს განეკუთვნება რისკების ის ჯგუფები, რომელთა გამოვლინებაზე კომპანიას პირდაპირი ზეგავლენა არ აქვს (მაგ. პოლიტიკური, ეკონომიკური, ბუნებრივი, საკანონმდებლო და ტექნოლოგიური), ხოლო შიდა ტიპს განეკუთვნება რისკების ის ჯგუფები, რომელთა გამოვლინებაზე კომპანიას პირდაპირი ზეგავლენა აქვს (მაგ. სტრატეგიული, რეპუტაციის, აკადემიური, უსაფრთხოების, ფინანსური, მატერიალური რესურსი და სამართლებრივი რისკი).

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

პირველად საქართველოში უპირობო აკრედიტაცია მიიღეს ერთობლივმა 3 წლიანმა საბაკალავრო პროგრამებმა, ეს პროგრამებია:

- კავკასიის უნივერსიტეტისა და რენის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა.

ასევე, უპირობო აკრედიტაცია მიენიჭა ტექნოლოგიების სკოლისა და TH Wildau-ის ერთობლივ ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კავკასიის უნივერსიტეტისა და ბასკეთის კულინარიული ცენტრის თანამშრომლობით, გურჯაანში კავკასიის უნივერსიტეტის გასტრონომიის აკადემიის მშენებლობა იწყება. 2022 წლის 28 მაისს, მშენებლობის ადგილზე კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა.

2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტს ახალი მე-11 სკოლა დაემატა - არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა (CSA), რომელიც მოიცავს სამ პროგრამას: არქიტექტურა; არქიტექტურა ინგლისურენოვანი და გრაფიკული დიზაინის 3 წლიანი პროგრამა. ამასთან ხაზგასასმელია, რომ CSA-ს არქიტექტურის პროგრამა საქართველოში არის პირველი და ერთადერთი, რომელმაც ბრიტანელი არქიტექტორების სამეფო ინსტიტუტის (RIBA) კანდიდატის სტატუსი მიიღო.

განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება, შეიქმნა ინტერნაციონალიზაციის მიმართულება, რომელსაც კურიერებს ვიცე-პრეზიდენტი ამ დარგში. ამ ცვლილების საჭიროება განაპირობებულობდა უნივერსიტეტის სტრატეგიით საერთაშორისო მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით და ბოლო პერიოდში ახალი ორმაგი პროგრამების დამატებით.

როგორც უკვე აღინიშნა, 2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხა რეკორდული რაოდენობის აბიტურიენტი. 2022-2023 სასწავლო წელს კავკასიის უნივერსიტეტს შემოუერთდა 1,600 პირველკურსელი.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, კახა შენგელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. წევრთა დანიშვნის შესახებ ბრძანებას ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერა.

რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტი

ომის შედეგად შემოდებულ სანქციებს არ ჰქონია ნეგატიური ეფექტი კავკასიის უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე. უნივერსიტეტს არ ჰყავს რუსეთის მოქალაქე დაკავშირებული პირები, ასევე არ გააჩნია სააქმიანი/პარტნიორული ურთიერთობა რუსულ სასწავლო დაწესებულებებთან.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტში გატარდა არაერთი ღონისძიება უკრაინელთა დასახმარებლად. მათ შორის, შეიქმნა საქველმოქმედო ანგარიში, საიდანაც სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის, უცხოელი პარტნიორების და სხვა მსურველების მიერ შემოწირული თანხა ხმარდება უკრაინელი მოსახლეობის მხარდასაჭერ სხვადასხვა აქტივობას.

წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ფინანსური დირექტორი - მარიკა ნიკოლაიშვილი

ფინანსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი - ნინო არაბიძე

დამოწმებულია პრეზიდენტის მიერ:

პრეზიდენტი - კახა შენგელია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

პირველად საქართველოში უპირობო აკრედიტაცია მიიღეს ერთობლივმა 3 წლიანმა საბაკალავრო პროგრამებმა, ეს პროგრამებია:

- კავკასიის უნივერსიტეტისა და რენის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა.

ასევე, უპირობო აკრედიტაცია მიენიჭა ტექნოლოგიების სკოლისა და TH Wildau-ის ერთობლივ ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კავკასიის უნივერსიტეტისა და ბასკეთის კულინარიული ცენტრის თანამშრომლობით, გურჯაანში კავკასიის უნივერსიტეტის გასტრონომიის აკადემიის მშენებლობა იწყება. 2022 წლის 28 მაისს, მშენებლობის ადგილზე კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა.

2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტს ახალი მე-11 სკოლა დაემატა - არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა (CSA), რომელიც მოიცავს სამ პროგრამას: არქიტექტურა; არქიტექტურა ინგლისურენოვანი და გრაფიკული დიზაინის 3 წლიანი პროგრამა. ამასთან ხაზგასასმელია, რომ CSA-ს არქიტექტურის პროგრამა საქართველოში არის პირველი და ერთადერთი, რომელმაც ბრიტანელი არქიტექტორების სამეფო ინსტიტუტის (RIBA) კანდიდატის სტატუსი მიიღო.

განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება, შეიქმნა ინტერნაციონალიზაციის მიმართულება, რომელსაც კურირებს ვიცე-პრეზიდენტი ამ დარგში. ამ ცვლილების საჭიროება განაპირობებულა უნივერსიტეტის სტრატეგიით საერთაშორისო მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით და ბოლო პერიოდში ახალი ორმაგი პროგრამების დამატებით.

როგორც უკვე აღინიშნა, 2022 წელს კავკასიის უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხა რეკორდული რაოდენობის აბიტურიენტი. 2022-2023 სასწავლო წელს კავკასიის უნივერსიტეტს შემოუერთდა 1,600 პირველკურსელი.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, კახა შენგელია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. წევრთა დანიშვნის შესახებ ბრძანებას ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერა.

რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტი

ომის შედეგად შემოღებულ სანქციებს არ ჰქონია ნეგატიური ეფექტი კავკასიის უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე. უნივერსიტეტს არ ჰყავს რუსეთის მოქალაქე დაკავშირებული პირები, ასევე არ გააჩნია სააქმიანი/პარტნიორული ურთიერთობა რუსულ სასწავლო დაწესებულებებთან.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტში გატარდა არაერთი ღონისძიება უკრაინელთა დასახმარებლად. მათ შორის, შეიქმნა საქველმოქმედო ანგარიში, საიდანაც სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის, უცხოელი პარტნიორების და სხვა მსურველების მიერ შემოწირული თანხა ხმარდება უკრაინელი მოსახლეობის მხარდასაჭერ სხვადასხვა აქტივობას.

წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ფინანსური დირექტორი - მარიკა ნიკოლაიშვილი

ფინანსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი - ნინო არაბიძე

დამოწმებულია პრეზიდენტის მიერ:

პრეზიდენტი - კახა შენგელია

